საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გველის მარწყვი

გველის მარწყვი (Duchesnea indica), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ვარდისებრთა ოჯახისა. აქვს 30–100 სმ სიგრძის გართხმული ყლორტები, სამფოთოლაკიანი ფოთლები, მარწყვის მსგავსი ნაყოფი. გ. მ-ის სამშობლოდ ითვლება სამხრ.-აღმ. აზია. როგორც სარეველა, გავრცელებულია აგრეთვე ევროპასა და ამერიკაში. საქართველოში გზადმოყოლილია და გვხვდება კოლხეთის დაბლობსა და მთისწინეთში, ძირითადად სუბტროპ. კულტურების რ-ნებში, იშვიათად ქართლშიც. ზოგან მოშენებულია როგორც დეკორ. მცენარე.

მ. სახოკია